

სამეცნიერო კონფერენცია

21-ე საუკუნის მუზეუმის გამოწვევები და მილენიუმის თაობა

კონფერენცია ეძღვნება ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის დაარსების 10 წლისთავს

17 მაისი, 2017



პროგრამა

კონფერენციის ორგანიზატორი:
ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი

თანაორგანიზატორები:
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

კონფერენციის ჩატარების ადგილი:
საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია
ფურცელაძის ქ. 1, თბილისი, საქართველო

09:30-10:00	მონაწილეთა რეგისტრაცია
10.00-10.30 კონფერენციის გახსნა	მისალმება: პროფ. დოქტორი დავით ლორთქიფანიძე , საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი პროფ. დოქტორი ინგა ქარაია , ICOM საქართველოს ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი პროფ. ნოდარ ამაშუკელი , თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
10.30 – 11.35	სესია
10.30-10.50	ინგა ქარაია - პროფ. დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, ICOM-ის მრჩეველთა საბჭოს წევრი ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის აქტივობები ქვეყანაში სამუზეუმო საქმის განვითარების მიმართულებით (საანგარიშო მოხსენება)
10.50-11.05	სალომე ცისკარიშვილი - პროფ. დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ICOM საქართველოს საბჭოს წევრი სამუზეუმო მენეჯმენტის გამოწვევები დღევანდელ საქართველოში
11.05-11.20	ნინო სანადირაძე - პროფ. დოქტორი, შ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის მუნიციპალური "მუზეუმების გაერთიანება" გენერალური დირექტორი, ICOM-ის წევრი თბილისის მუნიციპალური "მუზეუმების გაერთიანება" – სამომავლო გეგმები და განვითარების პერსპექტივები
11.20-11.35	სალომე ფაჩუაშვილი , ლესტერის უნივერსიტეტის მაგისტრი, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის კოლექციების კურატორი, ICOM-ის წევრი ექსპოზიციის თანამედროვე პრინციპები VS ისტორიული ინტერიერი: გამოწვევები და შესაძლებლობები.
11.35-11.50	შესვენება - ყავა/ჩაი

11.50 – 13.35	სესია
11.50-12.05	<p>ანა ჟვანია - ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტი. ICOM-ის წევრი</p> <p><i>მუზეუმი - როგორც უნივერსალური სივრცე</i></p>
12.05-12.20	<p>ნათია ხულუზაური - თსუ დოქტორანტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ICOM-ის წევრი, ICMAH (ICOM International Committee for Museums and Collections of Archaeology and History) საბჭოს წევრი</p> <p><i>საქართველოს ეროვნული მუზეუმის კომუნიკაციის ასპექტები</i></p>
12.20-12.35	<p>ლანა ქარაია - თსუ დოქტორანტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, EMF - ევროპის მუზეუმების ფორუმის ეროვნული კორესპონდენტი, ICOM საქართველოს საბჭოს წევრი</p> <p><i>ფანდრეიზინგის საკითხები 21-ე საუკუნის მუზეუმებში</i></p>
12.35-12.50	<p>მაკა კვარაცხელია - მუზეუმმცოდნეობის მაგისტრი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ICOM საქართველოს საბჭოს წევრი</p> <p>მაკა სოხაძე - თსუ დოქტორანტი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ICOM-ის წევრი</p> <p><i>საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა (egmc.gov.ge)</i></p>
12.50-13.05	<p>ნანა მეფარიშვილი - თსუ დოქტორანტი, კავშირი „ქართული სახლი“, ICOM-ის წევრი, ICAMT (ICOM International Committee for Architecture and Museum Techniques) მდივანი</p> <p><i>მუზეუმი - მყუდრო ნავსაყუდელი კოლექციისათვის თუ არქიტექტურული ღირშესანიშნაობა ქალაქში?</i></p>
13.05-13.20	<p>ანა ვერულაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი</p> <p>ლიზა მეფარიშვილი - ილიაუნის მაგისტრანტი, კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სოციალური მედიის მენეჯერი, ICOM-ის წევრი</p> <p><i>მუზეუმი ვირტუალურ სივრცეში</i></p>
13.20-13.35	<p>ირინა კოშორიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი კურატორი, ICOM საქართველოს საბჭოს წევრი</p> <p><i>გამოფენა "აღმოსავლეთ-დასავლეთის დივანი - მუშტაიდის სასახლის დეკორი" (ისტორია, კვლევა და ინტერპრეტაცია)</i></p>
13.35-13.50	შესვენება - ყავა/ჩაი

13.50 – 16.00	სესია
13.50-14.05	<p>ანა შანშიაშვილი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, ICOM-ის წევრი</p> <p><i>არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმებში</i></p>
13.50-14.05	<p>მარიამ შერგელაშვილი - თსუ მაგისტრანტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა „კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი</p> <p><i>ალგორითმი F5 - თანამედროვე ხელოვნების საგამოფენო კონცეფციისთვის ისტორიულ სამუზეუმო სივრცეში (ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმის მაგალითზე)</i></p>
14.05-14.20	<p>მარიამ ჩხაიძე - თსსა მაგისტრანტი, მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის კურატორი, ICOM-ის წევრი</p> <p><i>ისტორიული სასახლის ტრანსფორმაცია თანამედროვე მუზეუმად (ვაველის სასახლის მაგალითი)</i></p>
14.20-14.35	<p>მარიამ ვესია - თსსა მაგისტრანტი, მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა, ICOM-ის წევრი</p> <p><i>საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 21-ე საუკუნის მუზეუმებში</i></p>
14.35-14.50	<p>მარიტა სახლთხუციშვილი - თსუ მაგისტრანტი, სამაგისტრო პროგრამა „კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ICOM-ის წევრი</p> <p><i>POLIN - პოლონელ ებრაელთა ისტორიის მუზეუმი</i></p>
14.50-15.05	<p>თინათინ ივანიშვილი - თსსა მაგისტრანტი, მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა; ICOM-ის წევრი</p> <p><i>სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს მუზეუმებში</i></p>
15.05-16.00	დისკუსია და შეჯამება

ICOM-ის შესახებ:

მუზეუმების საერთაშორისო საბჭო - **ICOM** წარმოადგენს მუზეუმებისა და მუზეუმების პროფესიონალთა მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს კაცობრიობის ბუნებრივი და კულტურული, მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის კონსერვაციის, განვითარებისა და საზოგადოებისათვის გაცნობის მიმართულებით. საკუთარი საქმიანობით ICOM მჭიდროდაა დაკავშირებული UNESCO-თან და აქვს საკონსულტაციო სტატუსი გაერო-ს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში. ICOM-ის პარტნიორები არიან ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, INTERPOL და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ICOM-ს შესაძლებლობას აძლევს განახორციელოს თავისი საერთაშორისო მისია, რომელიც მოიცავს ბრძოლას კულტურული ფასეულობების უკანონო მიმოქცევასთან, რისკის მენეჯმენტს და საგანგებო სიტუაციებში მზადყოფნას მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისაგან დაცვისათვის.

ICOM-ის უმთავრესი ამოცანაა ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლა მუზეუმებს, კონკრეტულ სპეციალისტებსა და ქვეყნებს შორის. ორგანიზაცია მუშაობს აგრეთვე მუზეუმების პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, ხელს უწყობს იმ სტუდენტებისა და ასპირანტების სწავლებას, რომლებიც სამომავლოდ გეგმავენ მუზეუმში მუშაობას, აგრეთვე ცოდნის გავრცელებას მუზეუმის განვითარებით დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის. ICOM-ის ვალდებულებაა კულტურისა და ცოდნის პოპულარიზაციის მიმართულებით ემყარება სამუზეუმო საქმის სხვადასხვა ასპექტებზე მომუშავე მისი 31 საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობას. ამ კომიტეტებში მიმდინარეობს სიღრმისეული კვლევები, რომელთა შედეგები ხელმისაწვდომია ყველა კონტინენტის პროფესიონალებისათვის. ICOM-ს შეუძლია მოახდინოს კულტურული მემკვიდრეობის სფეროს საერთაშორისო ექსპერტთა მობილიზება ყველა იმ გამოწვევის საპასუხოდ, რომლებიც დგას დღეს მუზეუმების წინაშე მთელ მსოფლიოში.

1986 წელს ICOM-ის მიერ შემუშავდა ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსი, რომელიც ასახავს საერთაშორისო სამუზეუმო საზოგადოების მიერ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ადგენს მინიმალურ სტანდარტებს მუზეუმებისათვის. კოდექსში მოცემულია ის ძირითადი პრინციპები და შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს პროფესიულ პრაქტიკას.